საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10849/01
17/11/2020

10849-01-2-202011171711

შპს „არმადას“ დირექტორს
ბატონ პაატა ხარაზიშვილს
მის: *ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, V კვ., კორ. 3, ბ. 13*

ბატონო პაატა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 10 ნოემბრის N17512 განცხადება, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, ქ. თბილისში შპს „არმადას“ პოლიეთილენის ფირების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

- განცხადებაზე თანდართული shp ფაილებით იდენტიფიცირებული ტერიტორია არ ემთხვევა წარმოდგენილი საკადასტრო კოდით (01.19.14.004.071) განსაზღვრულ ტერიტორიას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის shp ფაილები;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია შპს „ბერალი 2007“-ის საკუთრებაშია და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს შპს „არმადას“ (იჯარის ხელშეკრულების დამოწმების თარიღი 25.05.2012). შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იჯარის ხელშეკრულება);
- სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს (დასამუშავებლად მიღებული) ნარჩენების დამუშავების (აღდგენის ოპერაციის) კოდები და აღწერილობა, ,,ნარჩენების მართვის კოდექსის” I დანართის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 36, საქართველოს წითელ ნუსხაში შესული სახეობების თავი) მითითებულია: „დეტალურმა საველე ბოტანიკურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიის გარეთ პროექტის ზემოქმედების ზონაში არ ხვდება საქართველოს წითელი ნუსხის არცერთი სახეობა, გარდა ხელოვნურად დარგული 17 ძირი კაკლისა. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის არეალში გვხვდება ზოგიერთი იშვიათი, საფრთხის ქვეშ მყოფი და მოწყვლადი სახეობა, როგორიცაა: Elaeagnus angustifolia (იშვიათი სახეობა), Pinus eldaric (გაქრობის წინაშე მდგარი

სახეობა)“. აღნიშნული ინფორმაცია გადმოტანილია ინდივიდუალური მეწარმე „ბორისი ძაძამიას“ პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ის ანგარიშიდან და შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე